# ზანგი

№ 26

კვირა, 2 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალური წერილების გარდა ჰონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო-მარკების [illegible] წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

თეატრი

მულენ ელექტრიკ

**მიხეილის პროსპ., საიუნკრო სასწავლებლის პირდაპირ.**

ვისაც სურს ნახოს მართლაც საინტერესო და შესანიშნავი სურათები, გთხოვთ მობრძანდეთ დღეს **მულენ-ელექტრიკში** იქნება სრულიად მთელი ოპერა **დონიცეტისა** (სურათები დახატულია)

„საყვარელი სასმელი“

პარიჟის დიდი ოპერა. შესანიშნავი არტისტების თამაში, მდიდარი დეკორაციები, გარდაქმნა, ბალეტი. გარდა ამისა აჩვენებენ საუცხოვო სურათებს

„მაწანწალას ქორწილი“

„**პარიჟი**—გასეირნება ბულონის ტყეში“

„ინდოელი აკრობატები“

„**რკინის გზა გიმალაის მთებში**“.

„მეირფასი სტუმრები“

„ნადირობის ბილეთი“ პროგრამის გარეშე: ლიუდვიკ მე-XV, საფრანგეთის მეფე. ხვალ გამოცვლილია სურათები.

**გაიხსნა ახალი**

**თფილისის**

კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ი. გ. ფიდლერთვა:** ყოველ დღე, გარდა ორშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეარჩევა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ზ. ა. იაპიძე:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვა:** შეარჩევა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. გ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—27

**კბილის ექიმი**

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის ქ. 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

**სამსონ ვაშაყმაძე**

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

ქუთაისში

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 მარიამობისთვიდან ამ 1909 წ. 3—2

**თფილისი, 2 აგვისტო**

სპარსეთის მოძრაობა ცოტათ თუ ბევრათ რუსეთის რევოლიუციური მოძრაობის გავლენით იყო გამოწვეული. თავისუფლების სხივები, ხალხთა მღელვარება, როგორც ზღვის ტალღები შორით შორს მიდიან და ყველგან თავის კვალს სტოვებენ. ოდესღაც საფრანგეთის რევოლიუციამ მთელი ევროპა მოვლო და ყველგან თავისი ლოზუნგი: „ქოხებს მშვიდობა და გაბატონებულთ ომიო“, გაატარა, მარა ეს იყო გავლენა გამარჯვებული მოძრაობის, გამარჯვებული ხალხის. შინ გამაგრებული საფრანგეთის ხალხი—გარეშე მტრისათვისაც—მთელი ევროპის რეაქციისათვის საშიშ მტრათ იქცა და მათი ყოველი მახინაციები დალეწა, მათი რეაქციონური მისწრაფებები წყალს გაატანა. გამარჯვებულმა გმირმა ხალხმა გმირები წარმოშვა. სულ სხვა მოხდა რუსეთში. აქ მოძრაობამ დამარცხება განიცადა და მხოლოდ ისეთი „კონსტიტუცია“ დაგვიტოვა, რომელიც ბრჭყალებს გარეშე არ იხმარება, ე. ი. ნამდვილ კონსტიტუციის აჩრდილს-და წარმოადგენს. მიუხედავათ ამისა რუსეთის მძლავრ მოძრაობას დიდი გავლენა ჰქონდა როგორც ევროპის, ისე აზიის სახელმწიფოთა ცხოვრებაზე.

ავსტრიაში 17 ოქტომბრის მანიფესტის ხანებში ადგილობრივმა ს. დ. საყოველთაო გაფიცვა გადასწყვიტა, თუ საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ მოგვცემენო და მიიღო კიდეც. ყველა ქვეყნებში დემოკრატიული მოძრაობა ფეხზე წამოდგა, მუშათა ორგანიზაციები თითქმის ყველგან ერთი-ორათ გაძლიერდა. მართალია, ამას მოყვა რეაქციონერთა გაწიწმატებაც, მარა ეს ხომ მეორე მხარეა დემოკრატიის გაძლიერებისა საზოგადოებაში. ასევე ქონდა გავლენა რუსეთის მოძრაობას აღმოსავლეთის ხალხებისათვის. ოსმალეთის და სპარსეთის მებრძოლთ არა მცირედ აღფრთოვანებდა რუსეთის მოძრაობა.

მართალია, მოძრაობის საფუძველი იქაურ ეკონომიურ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით გავლენაც ასეთ სახეს ვერ მიიღებდა. გავლენას ერთი საზოგადოება იმდენათ ახდენს მეორეზე, რამდენათაც მათი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა წააგავს ერთმანეთისას, მარა ამით გავლენის მნიშვნელობა სრულიადაც არ ისპობა და რუსეთის მოძრაობის, განსაკუთრებით კავკასიის, როგორც მოსაზღვრე ადგილების, გამოფხიზლება დიდათ ხელის შემწყობათ უნდა ჩაითვალოს ოსმალეთ-სპარსეთის განახლების საქმეში, განსაკუთრებით ეს გავლენა ძლიერია სპარსეთში, ვინემ ოსმალეთში. ამ უკანასკნელის რევოლიუცია სამხედრო რევოლიუცია იყო, მისი მამოძრავებელი—ევროპიულათ გაწვრთნილი ჯარი. ასე რომ, აქ, რუსეთზე მეტი გავლენა, უნდა ჯარის გაევროპიელებას მიეწეროს. სულ სხვაა სპარსეთში. აქაური კულტურა ესეცაა ფეხს იდგამს და თანამედროვე ცხოვრების კალაპოტში დგება. ასეთ საზოგადოებისთვის კი რუსეთის გამოცდილებას და მაგალითს დიდი მნიშვნელობა ქონდა. მართლაც, სპარსეთის ხალხი, ისე, როგორც სპარსეთის შახი, რუსეთის მაგალითით ფართეთ სარგებლობს, მარა ბედი კი რუსეთის არ გაუზიარებიათ. შინაურ ძალთა განწყობილება და საერთაშორისო მდგომარეობა ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარი გამოდგა და შაჰის მოღალატურმა პოლიტიკამ სასტიკი დამარცხება განიცადა. ხალხმა ამ შემთხვევაში მეტი ისარგებლა რუსეთით, ვინემ აღმოსავლეთის დესპოტიამ. ამას გარდაც, აქ ადგილი ქონდა ერთ თვალსაჩინო მოვლენას—ესაა კავკასიელ რევოლიუციონერების პირდაპირი მონაწილეობა სპარსეთის მოქალაქობრივ ბრძოლაში. როგორც უმაღლესი საბრძოლველ ტეხნიკას გაცნობილნი და მოქალაქობრივ ომში გამოცდილნი, ისინი დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ მებრძოლთ. ასეთია განსაკუთრებით „გურჯები“, რომელთაც ამ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

ეს მონაწილეობა მოკლებული არაა თავის მნიშვნელობას თვით კავკასიისთვისაც. ერთი მხრით მან განამტკიცა ძმური კავშირი იმ ერებ შორის, რომელნიც მრავლათ ცხოვრობს ამ ერთა კალეიდოსკოპში, გააცნო ისინი ერთმანეთს, დაუახლოვა, სულიერი ძაფი გააბა მათ შორის. ქართველმა, სომეხმა და სპარსელოსმალომ, განსაკუთრებით პირველმა და უკანასკნელმა, ამ ბრძოლაში საერთო მონაწილეობით ერთმანეთის სოლიდარობა მკვიდრ ნიადაგზე დააყენეს. ერთა სოლიდარობა კი—ეს დიადი ძალაა, რომელიც, ეჭვი არაა, წინ წასწევს არა თუ სპარსეთს, არამედ პირველათ ყოვლისა კავკასიის ცხოვრებას და მდგომარეობას. დანაწილებული, დაქსაქსული, ერთი მეორეზე გადამტერებული ის უძლურია, სუსტია, ადვილი დასაჩაგრავია. ერთა ქიშპობა მასში ყოველ კეთილ საქმეს ძირს უთხრის. ერთმანეთის ჯიბრობა მათ ძლიერის წინაშე ქედსახრევინებს. ეს შეეხება განსაკუთრებით გაბატონებულ კლასებს და წრეებს—და ასე, ყველანი ერთათ ტლანქ ბიუროკრატიულ მანქანის სიმძიმის ქვეშ სამუდამოთ დარჩენას უქადის. სოლიდარობა კი, ასეთ ძალის ფარფაში ფრთებს აკვეცს და მოქალაქობრივობის განვითარებას ხელს უწყობს. ამიერიდან ასეთ ძმობის ნიადაგზე კავკასია უფრო ადვილათ მოიპოვებს თავის ცხოვრების გასაუმჯობესებელ რეფორმებს, ვინემ ეს წინეთ იყო შესაძლებელი. ამიერიდან ამ რეფორმებს მეტი სიმაგრე აქვს თვით ხალხში და ეს კი ყოველი რეფორმის მთავარი საფუძველია.

ესეც არ იყოს, თავისუფალი სპარსეთი, რომელსაც არა ერთი და ორი კავკასიელი სომხის თუ ქართველის სისხლი შეეწირა, თავის მხრივ აუცილებლათ გამოიწვევს ჩვენშიაც კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ხალხის თვითმოქმედების პრინციპის ცხოვრებაში გატარებას. თუ რუსეთმა გავლენა იქონია სპარსეთზე, სპარსეთის გამარჯვებასაც გავლენა აქვს, სხვა რომ არა ვთქვათ, კავკასიაზე და აქ ძველი პოლიტიკის შეცვლაზე.

## ადგილობრივი პრესა

„ზაკავკაზიე“ (№ 114) ეხება მუშათა საყოველთაო გაფიცვას, რომელიც ამ ჟამათ შვეციაში სწარმოებს და ამბობს, რომ მუშათა მოძრაობა იმ სახით, როგორც მას ამ ჟამათ ჩვენ ვხედავთ შვეციაში, იქ პირველათ სწარმოებსო:

„თავისუფლების და კულტურის ფრთის ქვეშ შვეციის მუშათა კლასმა უკანასკნელ ხანებში დიდი ნაბიჯი გადასდგა ორგანიზაციულათ შეკავშირებისაკენ და როცა დამქირავებლებმა ლოკაუტი გამოუცხადეს მათ იმ აზრით, რომ მუშები ხელფასის დაკლებაზე დაეთანხმებიან, მუშებმა პროტესტით და მუშაობის საერთო ადგვეთით გასცეს პასუხი. მოძრაობას სტიქიური ხასიათი არ აქვს, არამედ თავისი მშვიდობიანი მიმდინარეობით და თავდაჭერილობით ის უცხოელს აკვირვებს. ჯერ არავითარი ისეთი რამ არ მომხდარა, რომელიც შეიძლება მოწინააღმდეგემ მუშების წინააღმდეგ რაიმე საბაბათ გამოიყენოს. ამას დიდათ უწყობს ხელს ის გარემოება, რომ შრომასა და კაპიტალს შორის არ ერევა მესამე მხარე, და, როგორც ვხედავთ, ეს დიდათ უწყობს ხელს მშვიდობიანობის დაცვას. ვისაც არ სურს, რომ მოწამე გახდეს ასეთ შემთხვევებში მუშების მხრით სხვა და სხვა ძალადობისა, რომელსაც უმეტესათ შურის-ძიების ხასიათი აქვს, უნდა ეს ტაქტიკა, ტაქტიკა ჩაურევლობისა მხედველობაში მიიღოს და კიდეც აასრულოს. ნუ თუ ასეთმა მოქცევამ ცუდი შედეგი მოიტანა შვეციაში? პირ-იქით, იშვიათია ისეთი მხარე, სადაც საყოველთაო გაფიცვა ასე მშვიდობიანათ მიმდინარეობდეს, რომელიც განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს არ გადასცდენოდეს. აქ კი, იშვიათია ისეთი მაგალითი, რომ საერთო დისციპლინის დარღვევა ან კერძო პირთა გამოსვლა მომხდარიყოს და სხ.

ეხლა ძნელია იმის თქმა, თუ ვის მხარეზე დარჩება გამარჯვება, მარა ის კი ცხადია, რომ ვინც უნდა გამოვიდეს გამარჯვებული, ეს მაგალითი, ე. ი. შრომასა და კაპიტალს შორის მომხდარ ბრძოლაში ჩაურევლობა, საუკეთესო არგუმენტია იმათ წინააღმდეგ, ვინც მომხრეა საზოგადოთ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებისა.

ბოლოს „ზაკავკაზიე“-საც გაუგია, რომ მუშათა მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება შეიძლება მხოლოდ მისი დაკანონებით და გარეშეთაგან ხელის ფათურის მოშლით.

ჩვენში კი, სწორეთ ეს მესამეთა ჩარევა იწვევს გამწვავებულ კონფლიქტებს და არევ-დარევას. იგი აქცევს ყოველ უკმაყოფილებას შრომასა და კაპიტალს შორის გამწვავებულ არეულობათ და შემდეგ „აშოშმინებს“,—მეც ვსაქმობო. ამ „დაშოშმინებას“ თვით ჩვენი „კულტუროსანი“ ვაჭარ-კაპიტალისტებიც უწყობენ ხელს და გაიძახიან: ჩვენი კომიტეტი პოლიციაა, თუ არ დაგვემორჩილებით, მას მივმართავთო. როდის უნდა ისწავლონ მათ, რომ ამით თვით ხდებიან მიზეზი წარმოების შეფერხების და მასში მესამე პირის გაბატონების? როდის შეიგნებენ ისინი, რომ თვითნებობის ნაცვლათ კონსტიტუციონური დამოკიდებულებაა მუშებთან საჭირო? არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ ისინი ასმენენ ვისაც ჯერ არს, მუშათა კავშირი გააუქმეთ, თორემ ვიღუპებითო. არა ერთხელ მიუღწევიათ კიდეც მიზნისათვის და ასე, ის ძალა მოუწვევიათ, რომელიც ჯერ ქმნიდა და მერე აშოშმინებდა არეულობას. აი, სადაა სათავე იმ გამწვავების, იმ სასტიკი ბრძოლის, ხშირათ იმ ანარქისტულ ზომებისაც, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. მოწესრიგებული, ორგანიზაციულათ შეკავშირებული მუშათა ძალა კულტურული გზით იბრძვის გაფიცვის დროსაც, კულტუროსნობას იჩენს მუშაობაშიაც. მუშები დაქსაქსული, გულგატეხილი, დამონებული, მუშაობაზედაც გულაცრუებულია და ბრძოლაშიაც დაუნდობელი, იგი მოქმედებს მოზღვავებული ნაღველის გავლენით და არა გონივრულათ, საქმის აწონ-დაწონვით. „ამიტომ ვისაც არ სურს რომ მოწამე გახდეს ასეთ შემთხვევებში (ე. ი. გაფიცვებში) მუშების მხრით სხვადასხვა ძალმომრეობის, რომელსაც უმეტესათ შურის ძიების ხასიათი აქვს, უნდა ეს ტაქტიკა, ტაქტიკა ჩაურევლობისა მხედველობაში მიიღოს და კიდეც აასრულოს“ ასე ამბობს „ზაკავკაზიე“, მარა ასე იტყვიან კი ჩვენი ვაჭარ-მრეწველები?!..

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აგვისტო.

**სპარსეთი**

**თავრიზი.** მაკინის სახანოდან ცნობები მოვიდა, რომ ხოის ფიდაები მაკინელ მცხოვრებთ თავს დაესხნენ.

ყარაბაღის მმართველი რახიმ-ხანი არ სცნობს ახალ შაჰს, მან ცხენოსნები გაგზავნა გზებზე თავდასასხმელათ.

მარანგის გუბერნატორსა და თავრიზის ენჯუმენს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ვაჭრობა შესუსტდა, თეირანიდან არდებილისკენ გზის შეკვრის გამო.

**ბერლინი.** „ფრანკფურტონს“ თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ნაციონალისტების ცენტრალურმა ორგანიზაციამ დაადგინა 31 ივლისს შეადგინონ საფრანგეთის დიდ რევოლიუციის მზგავსათ დირექტორ-კოლეგია, რომელსაც ექნება აღმასრულებელი ძალა. კოლეგიის წევრთა რაოდენობა ჯერ არ არის განსაზღვრული. ახალგაზდა შახს უნდა უარი სთქვას ტახტზე და მშობლებთან 1-თ სურს რუსეთში წავიდეს.

**ოსმალეთი**

**ვენა.** „კორ. ბიურ.-ს“ ატყობინებენ სალონიკიდან: მიღებულია ზომები, რომ პირველ აგვისტოდან დაიწყონ საბერძნეთის საქონლის ბოიკოტი. მთავრობას აცნობეს ხელი შეუშალიან ბოიკოტს.

**სტამბოლი.** 31 ივლისს საბერძნეთის მთავრობას ჩააბარეს ოსმალეთის ახალი ნოტა. სმირნაში მდგომ ოსმალეთის ესკადრამ ბრძანება მიიღო კუნძულ კარპატისისკენ წავიდეს, კრიტედან ორმოც მილზე.

**საზღვარ-გარეთ.**

**სტოკჰოლმი.** პროვინციებიდან ცნობები მოდის, რომ ზოგიერთ მადნებში და ხე-ტყის ქარხნებში მუშაობა განახლდა. სტოკჰოლმში ზოგიერთი გაზეთები ჩვეულებრივ ფორმატით გამოვიდნენ. ჟურნალისტთა კავშირი პროტესტს აცხადებს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომ გაფიცვის დროს მოინდომეს სიტყვის თავისუფლების მონოპოლია და მხოლოდ თავისი პარტიული ორგანო გამოუშვეს.

**პარიზი.** გავასს ატყობინებენ პენსონიდან (მაროკო), რომ 29 ივლისს მავრებმა ქალაქს თოფები დაუშინეს. არტილერიამ მტერი აიძულა დახეულიყვნენ მახლობელ მაღლობებისკენ, 30 ივლისს დილის 11 საათსა და 30 წუთზე მავრებმა შესწყვიტეს თავდასხმა. ესპანელებს ზარალი არ მოსვლიათ, მავრებს მოუკლეს და დაუჭრეს რამდენიმე კაცი.

**მადრიდი.** ესპანიის ყველა სამხედრო გემებმა ბრძანება მიიღეს წავიდნენ მელილიაში.

**სტოკჰოლმი.** კომუნალურ მუშებიდან 800-მა დაიწყო მუშაობა, 170 ისევ გაფიცულია. სამარხ ბიუროს გაფიცულ მუშების მაგიერ სხვები დაიქირავეს, სოფლის მეურნე მუშები არ გაფიცულან. ბიურგერების, კონსერვატიული, ლიბერალური და რადიკალური პრესა უარს ყოფს გაფიცვას. მაღიაში გაფიცულთა ფურნეები გამუდმებით მუშაობენ. ხორცის დუქნების კოოპერატივმა გადასწყვიტეს გაფიცულებს ხორცი მიაწოდონ

**რუსეთი**

**ნიჟეგოროდის ბაზარი.** აღმოაჩინეს ყალბი ფულის ქარხანა. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

**მოსკოვი.** სოფელ მოშკინოს ახლოს, კლინსკის მაზრაში თავს დაესხნენ ფოსტას, ორი ფოსტალიონი და მეეტლე დასჭრეს. ფოსტა გადარჩა. მძარცველები გაიქცნენ.

**უფა.** 30 ივლისს უფიდან 6 ვერსის მანძილზე ორმა უცნობმა რევოლვერით მოკლა სატუსაღოს უფროსი ზედამხედველი. მკვლელები გაიქცნენ.

**კიევი.** დაიწვა ულადოვის შაქრის ქარხანა, ზარალი 700,000 მანეთია.

**ხოლერა**

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 20, მოკვდა 13, ავათ არის 402.

**პოლტავა.** სოფელ კაპუსტინში ხოლერით ავათ გახდა 20, მოკვდა 4.

**პეტერბურგი.** რიგაში ხოლერით ავათ გახდა 4, მოკვდა 2. ნიჟნში—1, მოკვდა 1. იაროსლავლში—2, მოკვდა 2. რიბინსკში—2, მოკვდა 3. არხანგელსკში—2. მაზრაში—2.

**ვიტებსკი.** 23—31 ივლისამდე ავათ გახდა 55, მოკვდა 24. 31 ივლისს ავათ გახდა 6, მოკვდა 2. ეპიდემიის დაწყებიდან ავათ გახდა 224, მოკვდა 82.

**დრისსა.** 23—28 ივლისამდე ავათ გახდა 7, მოკვდა 4.

# უკანასკნელი ფოსტა

## ოსმალეთი.

**სამინისტროს კრიზისი და პარტიები.** გაზ. „სტ. მოლვა"-ში ამ საგანზე დაბეჭდილია შემდეგი წერილი: „კრიზისი, რომელსაც დღეს განიცდის ოსმალეთის სამინისტრო, გასული წლის განმავლობაში თითქმის მეხუთეა.

ერთი წლის წინათ სულთანის ირადეს თანახმათ ოსმალთა კონსტიტუციის პირველ პრემიერ-მინისტრათ დაინიშნა სეიდ-ფაშა, რომელიც კონსერვატიულ შეხედულების იყო და ახალგაზდა ოსმალთა პროგრამას არ თანაუგრძნობდა. ამ დანიშვნას ქონდა დროებითი ხასიათი, ცოტა ხნის შემდეგ. სეიდ-ფაშის ადგილი დაიჭირა ახალგაზდა ოსმალეთის ცნობილ საზოგადო მოღვაწემ ქიამილ-ფაშამ, რომელიც მთავრობას უდგას სათავეში უკვე 8 თვეა და მოასწრო კიდეც ცხოვრებაში რამდენიმე ლიბერალური რეფორმების გაყვანა. ქიამილ-ფაშას შემდეგ, რომელიც გადაყენებულ იქნა „ერთობა და პროგრესის" კომიტეტების ინტრიგების გამო, დიდ ვეზირათ დაინიშნა ახალგაზდა ოსმალთა კანდიდატი—ხილმი-ფაშა. ამ უკანასკნელის კომიტეტის დაცემა მოხდა „აპრილის გადატრიალების" დროს. მაშინ დიდი ვეზირის თანამდებობაზე გამოჩნდა უპიროვნო საზოგადო მოღვაწე თევთიკ-ფაშა, მაგრამ ჩქარა, გადატრიალების შემდეგ ხელ-ახლა იქნა მოწვეული ხილმი-ფაშა, რომლის სამინისტრო ხელ-ახლა კრიზსს განიცდის.

სამინისტროთა ასეთი ხშირი კრიზისი აიხსნება სამი პოლიტიკური პარტიების ბრძოლით: ძველ-ოსმალთა, რომელიც ჯერ კიდევ არ დამარცხებულა და ეწევა ფარულ ბრძოლას ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ, და რომელიც ცდილობს ტახტზე დააბრუნოს სალონიკის ტყვე, ექს-სულთანი, აბდულ-ჰამიდი, — ახალგაზდა ოსმალთა და სამხედრო, გენერალისიმუსის შევკეთ-ფაშას მეთაურობით. ძველ-ოსმალთა შანსები ჯერ-ჯერობით მეტად სუსტია, მაგრამ ისინი იმედოვნებენ მომავალში ძლიერი პარტიის შექმნას. ხილმი-ფაშას კაბინეტში ძველ-ოსმალთ ყავდათ თავიანთი წარმომადგენელი ფუად-ფაშა, რომლის წინააღმდეგ ახალგაზდა ოსმალები ძლიერ ბრძოლას ეწეოდენ და ბოლოს კიდეც აიძულეს ის გასულიყო კაბინეტიდან. ამით უკმაყოფილო აბდულ-ჰამიდის მომხრეები შეუერთდენ სამხედრო პარტიას და უნდოდათ ხილმი-ფაშას ჩამოგდება, როგორც ისეთი კაცის, რომელიც არ აფასებს ოტომანის ხალხის ინტერესებს.

როგორც ძველი ოსმალები, ისე სამხედრო პარტია განსკუთრებით თავს ესხმიან არსებული კაბინეტის მეთაურს მის „არა პარტიულ" პოლიტიკის გამო კრიტოსის საკითხში.

გამოცდილ პოლიტიკოს და დიპლომატ ხილმი-ფაშას კარგათ ესმის, რომ არსებულ პოლიტიკურ გარემოებებში დაძალება ევროპის დიპლომატიისთვის—იცნონ ნაციონალისტური, უკეთ, შოვინისტური პროგრამა ახალგაზდა ოსმალთა. ეს იმას ეთანასწორება, რომ შეიქნას ახალი შეხლა-შემოხლა ევროპის სახელმწიფოთა და განახლებულ ოსმალეთს შორის, ეს კი არაფერს კარგს არ უქადის ოსმალეთს. ყველა ამის გამო ხილმი-ფაშა უკანასკნელ დრომდე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე ურთი-ერთ დათმობით, თუ არ გადაეჭრა, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ხნით შეეჩერებინა მაინც კრიტოსის საკითხის ლიკვიდაცია.

მაგრამ ასე არ უყურებს საქმეს ახალგაზდა ოსმალთა და სამხედრო პარტიის მიმდევრები, რომელთაც უნდათ დაანახონ ქვეყანას „ოსმალთა თოფის ძალა". განსაკუთრებით თხოულობენ საბერძნეთთან ომს ახალგაზდა ოსმალი აფიცრები, რომლებიც გრძნობენ, რა, რომ დღითი-დღე ეცემა მათი პრესტიჟი, უნდათ საბერძნეთზე გამარჯვებით ხელ-ახლა აღადგინონ ხალხის თვალში დაკარგული ავტორიტეტი.

— თუ კრიტოსის კითხვა—განუცხადა ერთ კორესპონდენტს ოსმალეთის რევოლიუციის გმირმა ენვერ-ბეიმ—არ გადაწყდება ოსმალეთის სასარგებლოთ, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით დავძრათ ჯარი ათინასკენ.

შემდეგ, ივლისის გადატრიალების გმირი აცხადებს, რომ ბედ-იღბალი „ახალ პოლიტიკურ მართვა-გამგეობისა ოსმალეთში მჭიდროთ დაკავშირებულია ამ კითხვის ასე თუ ისე გადაჭრასთან".

**საბერძნეთის დამოკიდებულება.** 26 ივლისს ათინაში შესდგა მინისტრთა საბჭოს თათბირი მეფის თავმჯდომარეობით. ოსმალეთის ნოტის საპასუხოთ მთავრობამ განაცხადა შემდეგი: საბერძნეთი არასოდეს არ ერეოდა და არც ჩაერევა კრიტოსის შინაურ დამოკიდებულებაში; კუნძულზე მომავალ რეჟიმის მოწესრიგება დამოკიდებულია მხოლოდ მფარველ სახელმწიფოებზე, რომლების გადაწყვეტილების თანახმათაც იმოქმედებს საბერძნეთი.

გაზეთი „პესტია" მფარველ-სახელმწიფოებზე ამყარებს საბერძნეთის საომარ მოუმზადებლობას და აგონებს მათ თავიანთ ზნეობრივ ვალდებულებაზე, რომელიც, გაზეთის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ მფარველი სახელმწიფოები უნდა წინააღუდგენ ოსმალეთის მოთხოვნილებებს. საბერძნეთი ჩქარა არჩევს განადგურებას, ვინემ დაუთმოს ოსმალეთის ბარბაროსულ ძალდატანებას, ამბობს გაზეთი.

**პროტესტი ხილმი-ფაშას.** 27 ივლისს სალონიკში შედგა დიდი მიტინგი, რომელმაც პროტესტი გამოაცხადა ხილმი-ფაშას პოლიტიკის გამო.

**აღმოსავლეთის საკითხი.** 26 ივლისს საბერძნეთის საქმეთა რწმუნებული თეოკტისტს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგე საზონოვთან. თეოკტისტმა კატეგორიულათ უარყო ჟურნალისტებთან საუბარი.

— ოსმალეთის საელჩოში „ნოვ. ვრ." სიტყვით აუარებელი შიფრიანი დეპეშები მიუდიათ კონსტანტინოპოლიდან. საელჩო ძლიერ სერიოზულათ სცნობს ამ მომენტს.

## სპარსეთი.

**საარჩევნო კანონი.** პარლამენტის არჩევნების წეს-რიგი შემდეგია: ქალაქი თეირანი გაყოფილია ხუთ ნაწილათ. ამომრჩეველია— 45, რომლებიც ირჩევენ 15 დეპუტატს. საარჩევნო უფლებით სარგებლობენ ის მცხოვრებლები, რომელთაც აქვთ უძრავი ქონება 250 თუმანზე არა ნაკლები და რომლებიც იხდიან გადასახადს არა ნაკლებ 10 თუმანისა, და აგრეთვე, რომელთაც აქვთ წლიური შემოსავალი არა ნაკლებ 50 თუმანისა.

თითოეული ამრჩეველი უნდა იყოს მართალ-მორწმუნე მუსულმანი, უნდა იცოდეს სპარსული ენა, უნდა იყოს არა ნაკლებ 30 წლისა და არა უმეტეს 70-სა. დეპუტატებათ არ შეუძლიათ იყვენ: მეფის დინასტიის პრინცებს, სახელმწიფო და სამხედრო სამსახურში მყოფთ და აგრეთვე უცხოელებს.

**სპარსეთის ახალი შაჰი გაქცევას აპირებს.** სპარსეთის ყოფილ შაჰის რუსეთში წასვლა გადაწყვეტილია 4 აგვისტოსათვის. ახალი შაჰი ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მამას უნდა მოაშორონ. ირწმუნებიან, რომ მას მოუნდომებია გაქცევა და თავის მოკვლაც კი განუზრახავს. ხმები გავრცელდა, რომ ტახტის შესახებ ისევ ცვლილება უნდა მოხდეს.

**ზილლი-სალთანე თეირანში.** როგორც ამბობენ, ზილლი სალთანესთვის ნება დაურთავთ თეირანში დარჩეს. ამისათვის მას ბევრი ფული გადაუხდია.

**ბახტიარებსა და ნაციონალისტებს შორის მდგომარეობა მწვავდება.** ბახტიარებსა და ნაციონალისტებ შორის მდგომარეობა მწვავდება. მიზეზი ფულების უქონლობაა.

**მდგომარეობა თეირანში.** ახალი შაჰის მოქმედებამ ხელმძღვანელი წრეები დააფიქრა. ფიქრობენ, შაჰის ადგილზე სხვა დააყენონ.

ყოფილ შაჰის ძმა ქურთებით თეირანზე მიდის.

თითოეულ პარტიას უნდა მთავრობა ხელში ჩაიგდოს.

[illegible] მწვავე ხასიათს ღებულობს.

**ეინ-უდ-დოულეს გადაყენება.** დროებით მეჯლისმა, კონსტიტუციონალისტების დიდება ტაგი-ზადეს ვრცელ სიტყვის შემდეგ, დაადგინა ეინ-უდ-დოულე შირაზის გუბერნატორათ აღარ დანიშნოს.

**სიკვდილით დასჯილი რეაქციონერები.** გაზ. „რუს. ვედ". მოყვანილია მოკლე ბიოგრაფიები თეირანში სიკვდილით დასჯილ ცნობილ რეაქციონერებისა.

**სეიდ-მაჰომედ-სანიე-გაზიატი** ყოფილ შაჰის კარის კაცი და ამავე დროს ჯაშუშ-პროვოკატორი იყო. მას დავალებული ქონდა აემხედრებია ბრბო სხვა და სხვა ადგილას კონსტიტუციის წინააღმდეგ, რისთვისაც მან შეადგინა სპეციალური ყაჩაღთა ბრბო, რომ თავზარი დაეცა მცხოვრებლებისთვის. საზიე-გაზატი თავის ბრბოთი შედიოდა ღამით კერძო სახლებში და ხოცავდა მძინარე ხალხს. ამ გვარათ მან მოკლა ცნობილი ვაჭარი ფერეიდუნ გებარი. 1907 წლის დეკემბერში, როცა მაჰომედ ალის უნდოდა მეჯლისის განადგურება სანიე-გაზიატის და სეიზ-ფაზულას წყალობით მოხდა საშინელი სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა. არსენალის მოედანზე, სადაც შაჰის ჯარი იდგა, სანიე-გაზიატი იჭერდა გამვლელ-გამომვლელთ და უმოწყალოთ ხოცავდა. სპარსეთის იუსტიციის სამინისტროს ოქმში (№ 28, 29 ზიხადე 1325 წელი) დაწვრილებით ჩამოთვლილია სენიე-გაზიატის და მისი ბრბოს სიმხეცე. იმას როზგის დაკვრა და 10 წლის ციხე გადაუწყვიტეს. მეჯლისის განადგურების შემდეგ სენიე-გაზიატი დაუყონებლივ გაიწვია თეირანში მაჰომედ ალიმ, სადაც მან ისევ დაიწყო ხოცვა-ჟლეტა.

**შეიხ-ფაზულა-ნური** თეირანის ერთი უმთავრეს მუშტეხიდი. სწავლა მან მიიღო ნეჯიფში. ქრთამების წყალობით ის ჩქარა გამდიდრდა და რეაქციონერების ბელადი შეიქნა. [illegible] დროს მან შეკრიბა ბრბო და [illegible] წმინდა ქალაქ შაჰ-ზადე-აბდულ-აზიმში, [illegible] მან ისარგებლა წმინდა ადგილის ხელ-შეუხებლობით და ჯავრი იყარა მლოცველებზე. ის აღტყინებული წყევა-კრულვას უგზავნიდა კონსტიტუციის მომხრეებს. მისი მოღვაწეობა თვალ-საჩინო შეიქნა 1907 წლის დეკემბერში, როცა მან სანიე-გაზიატთან ერთათ აუარებელი ხალხი დახოცა. მეჯლისის დანგრევის დროს ის მუქარით ხელს აწერინებდა ხალხს კონსტიტუციის წინააღმდეგ. მან ამოთხარა სეიდ-აბდულ-ჰამიდის გვამი, მოძრაობის პირველი მსხვერპლის, და სახალხოთ დასწვა. შეიხ-ფაზულა შეთქმულობის სული და გული შეიქნა, მისი წყალობით ღამით მოკლეს შაჰ-ზადე და ოთხი მუშტეხიდი. როცა, ბოლოს შახმა კონსტიტუციას ხელი მოაწერა, შეიხ-ფაზულამ განიზრახა მოეკლა ცნობილი კონსტიტუციონური მინისტრები, მაგრამ თეირანის აღებამ ხელი შეუშალა. მისი სიკვდილით დასჯა არა ჩვეულებრივი მოვლენაა სპარსეთში: ამდენ ხანს მუშტეხიდებს სასამართლო ვერ ეხებოდა.

## რ უ ს ე თ ი.

**124 წლის მოხუცის სიკვდილით დასჯა.** „რუს. სლ." დეპეშით ატყობინებენ ვლადიკავკაზიდან, რომ მამასახლისის მკვლელობისათვის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა გლეხ აპრეკ მალიევს, ის 124 წლის არის და ძლივს დადის. სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლონ სასჯელის შემსუბუქებაზე.

**ოდესის სადეპუტატო კანდიდატები.** სახ. დუმის დეპუტატის კანდიდატებათ გარდაცვლებულ პურკამენტის ნაცვლათ წამოყენებულია: პროგრესისტებისაგან—ნაფიცი ვექილი ბროდსკი, „მოკავშირენი" კი საპატიო მომრიგებელ მოსამართლეს, გენ. კარდინალოვსკის ასახელებენ.

**შეუგნებლობის შედეგი.** ქალაქ ესკოვის ახლო ერთ სოფელში გლეხებმა დაინახეს, რომ სტუდენტი ნეკრასოვი აგროვებდა მცენარეებს, ხალხმა იფიქრა: ეს, ალბათ, ხოლერის [illegible] და ეცენ ნეკრასოვს. მთელი საათ-ნახევარის განმავლობაში ხალხი ეკითხებოდა მას და ემუქრებოდენ სიკვდილით. [illegible] დროს სტუდენტს უპოვნეს ჯიბეში [illegible]. ხალხმა გადასწყვიტა —ეს არის [illegible], რომ ადვილებული [illegible] დაემშვიდებია, სტუ-

---

***

(მ. გორკისა.)

ვით ნაპერწკლები კვამლის შავ გუნდში,
შვილნი ვართ ჟამის წარმავალისა,
თან მარცვალნი ვართ ტკბილი მერმისის,
მხურვალე ცეცხლი მომავალისა!
თავისუფლებას მიტომ ვსწირავთ თავს,
ეკლის გზაზე ვართ მიტომ ნადგომნი,
რომ არწივებათ გამოიზარდენ
ყველა თხუნველნი უსინათლონი!

**იახამანი.**

---

## ჩ ი ვ ი ლ ი

I.

მტერმა მომტაცა...
დავკარგე, ისა
მანათობელი
შავ-ბნელი ცისა!
ღვთაება უხრწნელ
სილამაზისა
თავისუფლება!..
სხივები მზისა.

II.

მას აქეთია ვეძებ ყოველ მხრით,
ოთხსავე კუთხეს
დედა მიწისას
და ხან ვედრებით, ცხარე ცრემლის
ღვრით
ვიწვევ ცის კროვანს,
მწუხრის ბინდისას.
ულვთოთ მომისპეს ათასგვარ ვნებით
უზენაესი
რამ ნეტარება
ჩემის სიწმინდის მწარ შეგინებით
გადამიქელეს
მტკიცე ცხოვრება.

III.

ბრძოლის ქარ-ცეცხლში
ნაწრთობი მკლავით
ზეცას მოვსტაცე
მშვენიერება
მაგრამ მან თვის ტომ
ქაჯთ ნათესავით
წამგლიჯა მხეცებრ
ბედნიერება.

IV

აი, მას შემდეგ, ცის ოთხსავე კიდეს
მკვირცხლის სიფხიზლით
ვადევნებ თვალებს,
ხან ფრთებს შევისხამ და მძლავ არწი-
ვებრ
მსწრაფლ მოვევლები
მთების მწვერვალებს
მაგრამ... ამაოთ... ვერსად ვპოულობ
მწარ სინამდვილე
მიბნელებს თვალებს.

V.

მტერმა მომტაცა...
დავკარგე ისა,
ღვთაება!.. უხრწნელ
სილამაზისა;
მანათობელი
შავ-ბნელი ცისა
თავისუფლება!..
სხივები მზისა.

VI

სატრფოვ... თუ ცოცხლივ, ვერსად
გიხილე,
მაშინ, ზეცის მზგავს
რისხვათ ვიქცევი
და ქვეყნის დანთქმის შემდეგ, შენს
საფლავს
სამუდამ-ჟამოთ
გადავეხვევი.

**გ. ქუჩიშვილი.**

---

## სატუსაღოს წინ.

„И если бъ хоть минутный крикъ
мнѣ измѣнилъ—клянусь, старикъ
я бъ вырвалъ слабый мой языкъ".
*Лермнотовъ.*

დახშულ კარებთან ვდგევარ მწუხარე
შეპყრობილ მოძმის ვთხოულობ ნახვას,
და უფერული იმისი ხვედრი
თავს დამტრიალებს, მიწამლავს ზრახვას!
მახსოვს, ის გუშინ ჩემს გვერდში იდგა
—გავიმარჯვებთო, მაწვდიდა ხმასა,
მთვარე შუქს ჰფენდა და ვარსკვლავებიც
სხივებს ესროდენ ჩვენ სავალ გზასა!
დღეს კი რაღაა?! იგი დაობლდა
მარტოობაში სულსა ვლევ მეცა,
ქვეყნიურ დუმილს გარსშემოხვეულს
ღრუბლით მოსილი დაჰყურებს ზეცა!
სიცოცხლის ფერი არ ვიცი რას ჰგავს
ვგრძნობ, სასაცილო გამხდარა იგი,
დარაჯი მიდგას, მას აბარია
თვით ჩემი სულთქმის წესი და რიგი!
მე ცრემლები მდის, ის კი იცინის
სხვის თანაგრძნობას გადაჩვეულა,
თუნდ მის წინ მოვჰკვდე არ შესწუხდება,
ღიმილი ისევ შერჩება სრულა!
ან სხვა ვინ ეძებს თუ მე აქ ვწვალობ
და მეტანჯება იქ მეგობარი,
ვინ იწევს ცრემლებს დაუსრულებელს
გზა გადაუჭრას, დაუდვას ზღვარი?!
იმ ტურფა ეტლით რომ ჩამიქროლა
მოძღვარი იყო რჯულისა მცველი,
ის, ვისაც მარად როგორც უმზაკვრო
ხალხში სამთხვევათ გამოაქვს ხელი!
ქრისტეს მაგიერ ის დარჩენილა,
სახედრის ნაცვლათ ეტლით სრიალებს,
თვალებს ატყვევებს იმის სამოსი,
მარგალიტებში ჰშვენის, ბრჭყიალებს
მარტო ის ჯოხი ხელთ რომ უპყრია
რაც მე მექნება, მაქვს და მქონია,
ფასი რომ დასდვან მიუდგომელი
ყველა იმათ ღირს ასე მგონია!
მანაც შემხედა, მაგრამ ხედვაში
არ რა ეწერა სიყვარულისა,
ვით ეს დარაჯი ისე მოძღვარიც,
უცნობი დარჩა ჩემის წყლულისა!
გვერდში მომიდგა ახლად მოსული
ეს კი სულ სხვაა, ნაცნობი არი,
მინახავს ბევრჯელ ფიცით ამბობდა:
„თქვენი ძმა ვარო და მეგობარი"!
იმ სკამიდანაც კი მეტყველებდა
ხსოვნაში წმინდათ რომ დამრჩენია,
ჰკიცხავდა ყველას, ვისიც ბრჭყალები
სულს ძალას ართმევს, გულს აჩნევია!
დღეს მხოლოდ მე ვცნობ, ის კი ვეღარა,
სხვას ეუბნება: „ზრასტი დუშკაო",
სხვა კი ის არის, რომ უძახოდა:
„შორს, გამცემელო, იუდუშკაო"!
მობრძანებულა ერთ-ერთ ძველ ნაცნობს
ისევ უცნობათ გადაქცეულსა,
ჰკითხოს ზოგი რამ „გავლილი დროის"
დამცველათა ჰყავს ბედის ეულსა!
გასამრჯელოში კმაყოფილია
ტუსაღის დედამ გადასცა მთელათ,
და ვინ დაეძებს რომ საცოდავი
მანდილს შეეჭო გასაყვიდელათ?!!
აგერ ლამაზიც ნარნარი რხევით
მოიყურება მედიდურათა,
არც უფიქრია, არც ეხლა ჰფიქრობს
რას ნიშნავს ყოფნა უბედურათა!
ჩემი სამოსე იმას არ მოსწონს
დაღარულ სახეს არიდებს თვალებს,
არ უცხოვრია მასში იმ გრძობას,
ერთი მეორეს რომ შეიბრალებს!
ცხოვრების ბრჭყალი დაღად დასმული
რამდენათ მტანჯავს და მაქვს იარად,
იმდენათ ჰფიქრობს, სახელად კაცი,
აღარც კი მქონდეს მასთან ზიარად!
მშვენივრების მფლობათ თავსა გრძნობს
არწივს მიუგავს მედიდურება,
რაც არ მოეხიბლავს იგი სძულს კიდეც
და რაც სძულს მისკენ არც იყურება!
მაშ, სადღა არის განკითხვის მცნება,
რისთვის არ მეტყვით ვის ვთხოვო ისა,
ვის შევქვითინო დაუნდობლობა
ამ მუხთლათ ქცეულ საწუთროისა?!!
მას, და მხოლოდ მას, ვისაც ჩემსავით
ბედის ბრჭყალები ასვია გულში,
ვისაც ჩემდენი ცრემლი უღვრია,
მხოლოდ ნაღველი უსვამს წარსულში!
ის მხოლოდ ერთი არ გაიქცევა
რომ მომისმინოს მე საუბარი,
რადგან აღწერა ჩემის ხვედრისა,
მისი ცხოვრების მოთხრობაც არი!
სხვას კი, ოხ, ნეტავ მე დამაშორა
როცა მწარედ მწვავს, იარა მტკივა,
და ცრემლებს თვალი რომ ვეღარ იჭერს
ერთი მეორეს მოჰყვება, ცვივა!..

**რ. ლეჩხუმელი.**

---

***

შესაზარელი წყვდიადი
ჩამოსწოლია არესა
და გლოვის ძაძა მოუსხამს
მრავალ ტანჯულ მხარესა.

აქრა აშლილი გრიგალი
ღრიალებს საზარ ხმაზედა,
მას ბანს აძლევენ ღრუბელნი
ფერადებრ მსრბოლნი ცაზედა.

აქოთებული მშფოთი ზღვა
ერთ-ურთსა სტყორცნის ტალღებსა,
თითქოს იწვევსო საბრძოლველად
ყოველ სტიქიურ ძალებსა.

ხეები ელდა ნაცემნი
შესაზარელსა ხმაზედა,
ტორტიან და ითოშებიან
მთა-მინდორ-ველსა ბარზედა.

მაშვრალნიც შეძრწუნებულნი
ჰგოდებენ ცრემლით თვალზედა,
მთლათ წართმევით იმედი
ნანატრსა მომავალზედა.

მე კი არ ვსტირი, ცრემლებათ
სულაც არ დავიწურები,
აღმოსავლისა მხრისაკენ
იმედით გავიყურები.

მწამს, მცირე ბრძოლის შემდეგათ
ცათ გაირღვევა ღრუბლები,
წყვდიადთან მებრძოლ მნათობის
გადმოიფრქვევს სხივები.

ზღვა დადუმდება, გრიგალი
სისინს შესწყვეტავს დასცხრება
და მრავალის გზით დამაშვრალს
კვლავინდებრ მოელხინება.

**დ. თურდოსპირელი.**

## „ჩანგი“-ს კანტორისაგან

**1-ლ აგვისტოდან გაზეთი აღარ გაეგზავნება იმ ხელის მომწერლებს, რომლებსაც ხვედრი ფული შემოტანილი არ აქვთ.**

დენტმა შეჭამა პარაშოკი, რომლის შემდეგ ის გაანთავისუფლეს.

**კიეველი „ოხრანნიკები“.** საიდუმლო პოლიციის უფროსის ასლანოვის უოფილმა თანაშემწემ მოხსენება გაუგზავნა სენატორ გარინს, რომელშიაც ის ამჟღავნებს კიევის პოლიციის მრავალ მოქმედებებს.

**სენატორი გარინი.** „კასპს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ სენატორი გარინი ირკუტსკში მიემგზავრება ციმბირის საინტენდანტოების სარევიზიოთ.

**მამა—მხეცი.** მოგილევის გუბ. ქ. ორშიდან „რეჩს“ სწერენ: ამ დღეებში დაასაფლავეს 14 წლის გიმნაზიელი ქალი.

ის გააუპატიურა მისმა მამამ, უასაბმა, და ცემით დაემუქრა, რომ არავისთვის ხრაფერი ეთქვა.

ქალიც მალავდა.

ერთხი თვის შემდეგ დედამ შეამჩნია ორსულობა და კიდეც გაიგო უბედურება. მან წაიყვანა ქალი მოგილევში და სთხოვა ექიმებს ქალისთვის ხელოვნურათ მუცლის წახდენა. ექიმებმა უარი უთხრეს.

დედა დაბრუნდა სახლში და ვიღაცას შემწეობით მოახდინა მუცლის წახდენა, მაგრამ ქალი ავათ გახდა და ჩქარა გარდაიცვალა. დედა-მისი კი ჭკუიდან შეიშალა.

---

## მოსკოვის მუშათა პროფესიონალური კავშირების მდგომარეობა.

ერთ დროს მოსკოვის მუშათა ძლიერი პროფესიონალური ორგანიზაციები წელიწად ნახევარია, რაც ირღვევა. ეს დაიწყო 1907—1908 წელს შია.

ნახევარი წლის წინათ მოსკოვში სულ ოთხი—ხუთი პროფესიონალური კავშირი იყო, რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდათ, დანარჩენები მხოლოდ სახელით არსებობდენ. გარდა „სავაჭრო მოსამსახურეთა პირველი კავშირისა“ ათას ორასი წევრით, დარჩენ კავშირებში მხოლოდ ასი—ას ორმოც და ათი წევრი ირიცხებოდა, ხშირათ ორმოც და ათზე ნაკლებიც.

დღეს აქ არსებობს თექვსმეტი პროფესიონალური კავშირი და ერთიც მუშათა თვით განვითარების საზოგადოება. ყველაზე კარგ მდგომარეობაშია „სავაჭრო მოსამსახურეთა საზოგადოება,“ რომელსაც სხვა კავშირებივით რეპრესიები არ უცდია. ეს იმით აიხსნება, რომ კავშირს ეხლა ურთიერთ დახმარების ხასიათი აქვს, და მისი ბრძოლის მოქმედება გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ განსაკუთრებულ საკანტროლო კომისიების წყალობით სასტიკ თვალ-ყურს ადევნებენ, რომ ხაზეინებმა შეასრულონ თხუთმეტი ნოემბრის კანონი. ამ კავშირში დღეს ითვლება 2,300 წევრი, აქვს საკუთარი სასადილო, კარგი წიგნთ-საცავი, მოაწყო საექიმო და იურიდიულ დახმარების საქმე და დააარსა კურსები.

მას მისდევს სტამბების მუშათა კავშირი. აქ შვიდასი წევრია, შემდეგ თერძების—სამას ორმოც და ათი წევრია, მეტყავეების—ორასი წევრია ხეზე მომუშავეთა—ას ოთხმოცი წევრია, ყველაზე უფრო მომქმედი და მხნეობი კავშირები ესენი არიან. ამას უნდა მიუმატოთ ჩაის გადამრჩეველთა და ლითონის მუშათა კავშირები.

დანარჩენი კავშირები— ფარმაცევტების, ფოტოგრაფების, მებაღეების, მექისეების, მეფილაქეების, მოსამსახურებს და სხვა—სალათას ძალით შეპყრობილნი არიან, ათამდე წევრი ყავთ და სრულიად უმოქმედობას იჩენენ.

რაც შეეხება ლითონის მუშათა კავშირს, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერი იყო მოსკოვში და ექვსას წევრზე მეტი ყავდა, დღემდე ვერაფერი გაუწყვია, რომ თავისი წესდება დაამტკიცოს.

ჩვენი კავშირების უმოქმედობა აშკარათ გამოიხატება მოსკოვის მუშათა ეკონომიური ბრძოლის სისუსტეში.

მართალია, საქმის მდგომარეობა ხელს არ უწყობს მუშებს გაფიცვისთვის, მაგრამ აღდგომიდან დაწყებული დღემდე რამდენიმე გაფიცვა მოხდა, რასაც მუშების დამარცხება მოყვა. კავშირებს არც საშუალება უწყობდა ხელს ჩარეულიყო გაფიცვაში და ამიტომ ისინი გაფიცვის გარეთ დარჩენ.

საზოგადოთ, კავშირებს ნაკლები დამოკიდებულება აქვთ მუშათა ფართე მასსთან და ამიტომაც მათი გავლენა ნაკლებია.

კავშირების უპირატესი კითხვაა, უმუშევართა შესახებ საკითხი, რომელიც ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ.

ზოგიერთი კავშირები— მეწაღეების, მზარეულების და მოსამსახურეების უმუშევრობასთან საბრძოლველათ არტელებს აარსებენ, მაგრამ ეს საშუალება სრულიად უვარგისი გამოდგა.

მოსკოვის მუშათა ცხოვრებაში ერთ მსხვილ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს „საზოგადო გასართობის კლუბის“ რეგისტრაცია.

---

## გზა და გზა

### II

ბ. ა. ჯ—შვილის მეორე წერილი უფრო თავაზიანი კილოთია ნაწერი და ჩვენც გვინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ მისი არსებობა.

უკანასკნელ დროს „დროებამ“ თავის ეროვნულ დროშას ქართული კაპიტ. ალორძინება დააწერა. ბ. ა. ჯ—შვილიც ამ ტემის გარეშემო ტრიალებს. ის ვიღაცაებს აბრალებს ერთ ადგილზე დგომას და არსებულით დაკმაყოფილებას. არა მგონია ჩვენ ვყავდეთ სახეში, რადგან, თუ ვინმეა არსებულით უკმაყოფილო, ეს ყველაზე უწინ ჩვენ ვართ, დიახ, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარება, არ გვაკმაყოფილებს დღევანდელი უუფლებრივი მდგომარეობა, რეჟიმი და სხ., მარა განა ამაზე ლაპარაკია კიდევ საჭირო? მით უფრო გასაკვირველია, ვისზე ამბობს ბ. არ. ჯ—შვილი.

„ის გარემოება, რომ საქართველოს დღეს საკუთარი ფართო საზოგადოებრივი ცხოვრება არა აქვს, ბევრს მიღიპულ გზაზე აყენებს, ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა კმაყოფილდება არსებული მდგომარეობით და მით დიდს განსაცდელში აგდებს საქართველოს ბედ-იღბალს. ყოვლად შეუძლებელია დღევანდელ პირობებით დავკმაყოფილდეთ და ამასთან, გულ-უბრყვილოთ ვიოცნებოთ, რომ ეროვნულ საქმეს ვაწარმოვებთო.“

ჩემ წინააღმდეგ ასეთი ბრალდების მოყვანა ეს ლოღიკის და მეხსიერების ღალატია. ეს ისეთი გაუგებრობაა, რომელიც კალმის ხელში ამღებს არ ეპატიება, მარა დავანებოთ ამას თავი და მივუბრუნდეთ ისევ ქართული კაპიტალის როლს საქართველოს ეროვნულ იდეალისათვის. ბ. ჯ—შვილს ამ ქართულ კაპიტალზე აქვს დამყარებული მთელი თავისი იმედები. მისგან ელის ერის კულტურის, ენის და ლიტერატურის აყვავებას, ერთი სიტყვით, ეროვნულ სიმდიდრის შექმნას. ჩვენ მათზე აქ პასუხს არ გავაგრძელებთ, რადგან ეს კითხვა საკმაოთ გამორკვეული გვქონდა უკვე წინანდელ ფელეტონებში. ახლა აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ახალ საბუთს, რომელიც მოყავს თავისი აზრის დასამტკიცებლათ, ესაა, კ. კაუცკის აზრი. ბ. არ. ჯ—შვილი გვარწმუნებს, რომ კ. კაუცკი მისი აზრის თანახმაა და დიდ უბედურებათ თვლის რუსეთის მუშებისთვის რუსეთში უცხო კაპიტალის სიძლიერეს და ბატონობას ადგილობრივზე. არა, ბ. არ. ჯ—შვილო, კ. კაუცკი ისეთი უტოპისტი არ არის, რომ ნატვრა დაიწყოს, რა მირჩევნია, რომ მქონდესო—იგი მატერიალისტია და ყოველი კითხვის პასუხს ცხოვრების მსვლელობაში ეძებს. იგი არ სვამს კითხვას ისე, როგორც თქვენ, ე. ი., სასურველია თუ არა ნაციონალური კაპიტალი რუსეთისთვის. მან იცის, რომ ასე კითხვის დასმა ოცნების სამეფოში ფრენის მეტს არაფერს მოიტანს. სამაგიეროთ, იგი იკვლევს რუსეთის მდგომარეობას, აღნიშნავს მასში ადგილობრივ კაპიტალის სისუსტეს და აქედან დაასკვნის: რუსეთის ლიბერალიზმი ამიტომაა სუსტი და ნაციონალური კლასის როლი პროლეტარიატს აქვს დაკისრებულიო. ამით ხსნის იგი დიად მნიშვნელობას, რომელიც ითამაშა გასულ მოძრაობაში რუსეთის გოლიათ პროლეტარიატმა. და აქედან დაასკვნის. მაშასადამე, რუსეთის განახლების საკითხი—ეს პროლეტარიატმა უნდა გადაწყვიტოს თავის გულმკერდითო, ესე იგი, სწყვეტს ისე, როგორც ჩვენ ვამბობდით ქართველი სუსტი ბურჟუაზიის შესახებ.

ქართული კაპიტალის, და, მაშასადამე, ქართული ბურჟუაზიის გაძლიერებას ექნება, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა, მარა მხოლოდ „დაკარგულ საზოგადოებრივ ცხოვრების“ აღსადგენათ და არა ახალი ცხოვრების შესაქმნელათ და ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზია, როგორც უკვე აღვნიშნე, ახლა წარსულს შესტრფის, ეროვნულ არსებობას თავის არსებობის ეკვივალენტათ აცხადებს და მისი სახელით არსებული ურთიერთობის განმტკიცებას მოითხოვს. ასეთი მისი ეროვნული მისსია, ჩვენ არ მოგვეწონება და ვერც შევიწუხებთ თავს მისი ასეთი მისსიის ხელის შეწყობით, რაც უნდა გვარწმუნოს B-თან ერთად, რომ თუ ერი ვართ, ძლიერი ბურჟუაზიაც უნდა გვეყოლოსო. არც რუსეთს ყავს ძლიერი ბურჟუაზია და მაშ, არც ის არის ერი? როგორც ხედავთ, ბურჟუაზიის სიძლიერე, კიდევ არ მოასწავებს ერის სიძლიერეს, არამედ კონსერვატიზმის სიძლიერეს. კონსერვატიზმი კი, თქვენ თუ მოგწონთ „დაკარგული საზოგადოებრივობის“ აღსადგენათ, თორემ ჩვენ არაფრათ გვესაჭიროება ერის გასავითარებლათ და მის კულტურულ გზაზე დასაყენებლათ. ერის კულტურა—ეს მისი ხალხის კეთილდღეობაა, მშრომელის მასსის და არა ბურჟუაზიის. ხოლო, მგონი, ბ. B-ს მეტი ვერავინ იტყვის იმას, რომ ქართველი მშრომელი ხალხი მარტო ქართველ ბურჟუაზიისაგან თუ ელირსება ლუკმა პურს, თორემ სხვა გზით ვერაო და, თუ იტყვით, მით უარესი: მაშინ მისი სახელის თანაზიარი გახდებით.

**რამდენიძე.**

---

## ახალი ამბები

—

✦ **თფილისის გუბერნატორის განკარგულება 6 ივლისის ინციდენტის შესახებ.** თფ. გუბერნატორმა დადგენილება გამოსცა 6 ივლისს სათავად-აზნაურო ბაღში მომხდარ ინციდენტის გამო, რომლითაც 1) თავ. გიორგი ამირეჯიბს მიესაჯა ერთი თვით თფილისის პატიმართა სახლში დაპატიმრება; 2) ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს აზნაურ ნიკოლოზ ყანჩელს, თავ. არჩილ მაყაშვილს და თფილისის მოქალაქეს მიხეილ ლომჯანიძეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხსენებულ ინციდენტში, მიესაჯათ დაპატიმრება პირველს სამი კვირით, ხოლო დანარჩენ ორს—ორი კვირით, 3) თავ. მიხეილ დავითისძე ქავჭავაძე და ეკატერინე ორლოვსკისა დაჯარიმებულ იქნენ 25 მან. თითო. ჯარიმას თუ არ გადაიხდიან, 7 დღით დაპატიმრებით შეეცვლებათ. თერგის ყაზახთა ჯარის ასისთავის თავ. მაკარი ივანესძე (მამუკა) ჯამბაკურ-ორბელიანის მოქმედების შესახებ განკარგულებას მოახდენს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის მთავარ სარდლის თანამდებობის აღმასრულებელი (კ.)

✦ **ფულის დაკარგვა.** 31 ივლისს, დილის 11-ნახევარ საათზე სახელმწიფო ბანკის თფილისის განყოფილებიდან (ფრეილინის ქუჩაზე) საეპარქიო სანთლის ქარხნის ზედამხედველმა მღვდელმა გძელიშვილმა 6570 მანეთი მიიღო. ამათში 50 მანეთი მან დასახურდავებლათ ცალკე გამოყო, ხოლო დანარჩენი 6520 მანეთი ჯიბეში შეინახა. რამდენიმე წუთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფული დაკარგოდა. არ იციან—გძელიშვილს ფული მოჰპარეს თუ მან თვითონ დაჰკარგა. როდესაც გძელიშვილმა განაცხადა, ფულის დაკარგვის შესახებ, ყველა იქ მყოფნი გაჩხრიკეს, მაგრამ ფული არავის აღმოაჩნდა. ეჭვით დააპატიმრეს ერთი კაცი.

✦ **სამკითხველო.** სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოების სამკითხველოში, რომელიც მიმდინარე 5 ივლისს გაიხსნა, 1 აგვისტომდე 540 მკითხველი მისულა.

✦ **თფილისის პოლიცმესტერის ბრძანება.** თფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ბრძანება დაუგზავნა ყველა საპოლიციო ნაწილების ბოქაულთ, რომლითაც ამ უკანასკნელთ ევალებათ კაფე-შანტანებისა და იმ ბაღების პატრონთ, სადაც ღია სცენებია, ხელწერილი ჩამოართვონ, რომ ხსენებულ ადგილებში არ შეუშვან ის ჯარის კაცები, რომელნიც სამსახურში ითვლებიან. ბოქაულთ ევალებათ, თვალ ყური დაიჭირონ, რომ ხსენებული ბრძანება სისრულეში იქნას მოყვანილი, ამასთან, ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც იქ ბძანებას დაარღვევენ, შეადგინონ ოქმი დამნაშავეთა ადმინისტრატიული წესით დასასჯელათ.

✦ **ქალაქის ინჟენერი.** თფილისს დაბრუნდა და სამსახურის ასრულებას შეუდგა ქალაქის ინჟენერი კოგნოვიცკი.

✦ **საგანგებო საგუბერნიო კრება.** კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება გასცა 15 სექტემბრისთვის დაინიშნოს თფილისისა და ქუთაისის გუბერნიის საგანგებო საგუბერნიო კრებებისა ამომრჩეველთა ასარჩევათ. ამათ უნდა ამოირჩიონ თავად-აზნაურთაგან 6 წევრი სახელმწიფო საბჭოსი. ამომრჩევლები პეტერბურგს უნდა ჩავიდენ სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესიის დაწყებამდე ორი კვირით წინეთ, 27 სექტემბრისთვის. ამომრჩეველთა სიეზდი შესდგება ს.-პეტერბურგში 6 ოქტომბერს ნაშუადღევის 1-ლ საათზე.

✦ **შუამდგომლობა.** „კ.“ სიტყვით, მცხეთის სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე გადაყვანილ იქნან პოლიციის დარაჯები სკოლის შენობიდან სხვა შენობაში, ნება დაერთოს სოფელს შკოლის შენობის შესაკეთებლათ სამეურნეო თანხიდან 500 მანეთი დახარჯოს და ნება დაერთოთ დანიშნონ მთავრობის მამასახლისის მაგივრათ ახალი მამასახლისის არჩევნები.

✦ **საბაღოსნო სკოლაში** გუშინ დასრულდა ლექციები და პრაქტიკული მუშაობა ხილის გახმობისა, შენახვისა და გასაგზავნათ შეხვევის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ დამაბრკოლებელი მიზეზები ბევრი იყო (მაგ. ხილის სათლელი, გასასუფთავებელი მანქანების უქონლობა და სხვ.) მასწავლებელმა ბ. პ. მელიამ მოვალეობა ნათლათ შეასრულა. მას ყურადღებით უსმენდენ. მსმენელები მადლობელი დარჩენ მელიასი. ბ-ნი მელია შეჰპირდა მსმენელთ ხვალ, ორშაბათს, თეორიულათ სეროფის მომზადებას გაგაცნობთო.

✦ **წარმოდგენა სოფელში.** ს. ძეგვში, მცხეთასა და ქსნის შუა ამ დღეებში ადმინისტრაციის ნებართვით განზრახულია წარმოადგინონ ირეთელის თანამედროვე პიესა „დამარცხებულნი“.

✦ **მეორე დუმის ყოფილი დეპუტატის არჩილ ჯაფარიძის ოჯახობის სასარგებლოთ** რედაქციამ მიიღო იასებ მამაცაშვილისაგან რკინის გზის სახელოსნოს „სბორნი“ ცეხის მოსამსახურეთა შორის შეკრებილი ათი მანეთი და ერთი აბაზი (10 მან. 20 კ.), რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა.

---

## ჩინეთი და იაპონია

—

ჩინეთ-იაპონიას შორის ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა კონფლიქტი. ეს კონფლიქტი გამოიწვია მუკდენ-ანდუნის რკინის გზის საკითხმა. ამის გამო იაპონიამ ჩინეთს ნოტა გაუგზავნა. ნოტას შინაარსი შემდეგია:

უკანასკნელ ომის დროს იაპონიამ სამხედრო მიზნით ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანა ანდუნსა და მუკდენს შორის. რადგან რკინის გზა საჩქაროთ იქნა გაყვანილი, ბევრი ნაკლულევანება აღმოჩნდა: გზა სრულიად უვარგისი გამოდგა ვაჭრობისთვის. გარდა ამისა, როცა სამხრეთ მანჯურიის რკინის გზა იაპონიის ხელში გადავიდა, საჭირო შეიქნა ამ გზისა და კორეის გზის შუა ახალი გზის გაყვანა.

1905 წლის ჩინეთსა და იაპონიის შორის დადებულ ხელშეკრულობის მე-4 მუხლის ძალით იაპონიას სრული უფლება ეძლევა გადააკეთოს გზა, ყველა ერების სამრეწველო საქონლის გადასაზიდათ, ე. ი. სამხედრო გზა საკომერციო გზათ გადაეკეთებია.

ანდუნ-მუკდენის სამხედრო გზა სიგრძით 188 მილი არის. ლიანდაგი ვიწროა. რადგან გზა საჩქარო იყო და გვირაბების გაყვანა შეუძლებელი იყო, გზები მთა-გორებზე და ხრიოკებზე გაიყვანეს. ამიტომ მოსალოდნელი იყო მატარებლების ლიანდაგიდან გადავარდნა და უბედურების მოხდენა. მატარებლები ამ გზაზე ნელა დადიან, ღამით მოგზაურობა შეუძლებელია. ამიტომ გზის შესაკეთებლათ აუცილებლათ საჭიროა გვირაბების გათხრა, ხიდების გაკეთება და ლიანდაგის გაფართოება. 1905 წელს, პეკინში მოლაპარაკების დროს იაპონიის და ჩინეთის წარმომადგენელნი შეთანხმდენ ამ საკითხის შესახებ. საჭირო იყო დანარჩენი, მეორე ხარისხოვანი კითხვების გადაჭრა. ჯერ დაიწყეს კერძო მოლაპარაკება ჩინეთთან და რაკი ამან ვერ გასჭრა, ოფიციალურათ მოსთხოვეს გაეგზავნათ თავიანთი კომისარები, რომ დაეწყოთ მუშაობა. რადგან ჩინეთი ამაზე დასთანხმდა, ორივე სახელმწიფოს კომისარებმა დაასრულეს მიწის ზომის სამუშაო და სრულიად შეთანხმდენ, გარდა ერთი კითხვისა, რომელიც შეეხებოდა მუკდენსა და შენხსი-იანგ-ტუნს შუა ოც მილ მიწას. აპრილის დასაწყისში მუშაობის გათავებისას დაუყონებლივ ზომები მიიღეს შეეტყობინებიათ ეს პეკინის მთავრობისათვის. მუკდენსა და შენხი-იანგტუნს შუა რკინის გზის გაყვანის საკითხი შემდეგში უნდა გადაეწყვიტათ. რომ დრო არ დაეკარგა, იაპონიამ ამ გზაზეც დაიწყო მუშაობა. ნაწილი, როგორც იყო, გაზომეს. ამასთანავე იაპონიამ გამოაცხადა, რომ სურვილი ქონდა ეყიდა მიწები ამ გზისათვის.

ჩინეთმა ამ საკითხზე ხმა არ ამოიღო, და ლაპარაკი ჩამოაგდო პოლიციელთა უფლებებისარკინის გზაზე, და რკინის გზის დამცველთა გადაყენების შესახებ. ტოკიოს მთავრობამ რამდენიმეჯერ დაბეჯითებით მოითხოვა თავისი მოთხოვნილების სისრულეში მოყვანა ჩინეთის მიერ.

24 ივლისს ჩინეთმა ბოლოს ძლივს აღირსა იაპონიას პასუხი, მაგრამ ამ პასუხით სავსებით ირღვეოდა 1905 წლის ხელშეკრულობა ანდუნ-მუკდენის რკინის გზის შესახებ და სრულიად სპობდა ამ გზის ღირებულებას.

პოლიციის მთავრობის, რკინის გზის დაცვის და სხვა კითხვების გარდა, ჩინეთი აცხადებდა, რომ ლიანდაგის გაფართოება არას გზით არ შეიძლებაო. რადგან იაპონიას არ სურდა ჩინეთთან კეთილი განწყობილება დარღვეულიყო, შეეცადა გადაეთქმევინებია ჩინეთისთვის თავისი გადაწყვეტილება და სთხოვა მოქცეულიყო 1905 წლის ხელშეკრულების თანახმათ. მიუხედავათ ამისა, ჩინეთი მაინც თავისას გაიძახის, რაც იმედს უკარგავს იაპონიას საქმის მშვიდობიანათ გათავებისას.

ასეთ მდგომარეობის გამო იაპონიამ გადასწყვიტა, ჩინეთის ნება-დაურთველათ დაიწყოს გზის შეკეთება, თანახმათ ორივე ქვეყნის კომისარების მიერ შედგენილ გეგმისა.

როცა გზის შეკეთებას დაასრულებს იაპონია, გზა ყველა ერების ვაჭრობისთვის აუცილებელი საჭირო იქნება. მუკდენ-ანდუნ-ფუზანის რკინის გზით იაპონია ევროპას დაუახლოვდება და საჭირო აღარ იქნება ათი დღე ზღვით მოგზაურობა.

---

## პროვინციის ქრონიკა

—

**ფოთი.** ამ დღეებში აქ დატრიალდა ერთი ამბავი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ აქ სასტუმრო „ორიენტალ“-ში 18 ივლისს ჩამოსულა ვიღაც მგზავრი. 18 ივლისს დარჩენილა სასტუმროში და 19 ნაშუადღევის 4 საათზე გასულა სასტუმროდან და შემდეგ არ დაბრუნებულა. 22 ივლისს ხარიტონ მორჩილაძეს, სასტუმროს პატრონს, განუცხადებია პოლიციისთვის, რომ აქ არ უთქვის დროს, წამოსულა „პასაჟირი“ და 19 ივლისს წასულა, შემდეგ არ ჩანს. ხაბაკები და პასპორტი ოთახში არისო. მოვიდა პოლიცია და ნახა ხაბაკები და პასპორტი. მგზავრი აღმოჩნდა გაჭარი თეილიშე ილარიონის ძე ლიხუნოვი, სიმბირსკის გუბერნიიდან, სენგილის მაზრის. პოლიციამ მიიღო ზომები დაკარგულ პასაჟირის აღმოსაჩენათ, მაგრამ ამაოდ. 25 ივლისს ზოქაულმა დოლაბერიძემ და უბნის ზედამხედველმა კიკნაძემ ნაბადას ტბეში აღმოაჩინეს, თხელას წვრილ ტოტზე ჩამოკიდული ადამიანის გვამი. გვამი ისეთ ვიწრო ტოტზე ეკიდა, რომ ძნელი დასაჯერებელია, თვით ჩამოეხრჩო თავი. ის აღმოჩნდა, სიმბირსკელი ვაჭარი, ლიხუნოვი. ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხმები ამტკიცებენ, რომ ვაჭარ ლიხუნოვს ფულები ქონდა, ის დაახრჩვეს და შემდეგ ღვინის შესაკრელ დვედით ჩამოკიდეს წვრილ ხის ტოტზეო. დარჩენილი ნივთები ნათლად მოწმობენ იმას, რომ ლიხუნოვი შეძლებული კაცი ყოფილა. ძნელი წარმოსადგენია აგრეთვე ისიც, რომ ადამიანმა განიზრახა თავის ჩამოხრჩობა და ის სრულიად უცნობ ქალაქში, წავიდა ნაბადას ტბეში, სა-

და მისვლა აქაურ მკვიდრთაც უჭირთ. ამაზე სწარმოებს გამოძიება. დატუსაღებით არავინ დაუტუსაღებიათ და ეს ძალიან აკვირებს მცხოვრებთ, რადგან უბრალო ქურდობისთვის აქ ათობით იჭერენ, და დიხუნოვის დახრჩობას კი, ამ საიდუმლოებით მოცულ ისტორიას, არავითარი ბასუხი მისცეს. დიხუნოვის დაკრძალვის შემდეგ, სასტუმროში ადმოაჩინა ბოლიციამ საბანი და ბალიშის ბირები, რომლებიც სასტუმროს მოსამსახურეს გადაემალათ ალბათ, უფიქრიათ ვერავინ გაგვიგებსო.

— კვირას, 26 ივლისს ბირველად შეკრიბა აქაური სახალხო უნივერსიტეტის წევრები მუშები, რომლებსაც, როგორც გწერდით, განზრახვა აქვთ, ჯერ-ჯერობით წერა-კითხვა მაინც შეისწავლონ. კვირასვე მოხდა მათი ჯგუფებად დაყოფა. სამწუხაროთ, მუშები საკმაოდ არ გამოცხადდნ. საჭიროა, რომ შემდეგისთვის, ყველა მუშები, რომლებიც ჩაეწერენ და ეწერებიან—გამოცხადდენ.

— 24 ივლისს ღამით გაქურდეს ქალაქის აფთიაქის გამგე ბ-ნი კისერი.

— 27 ივლისს რუსის საზოგადოების გემ „არარატზე“ მუშაობის დროს, დაშავდა, მუშა სტეფანე ცაგა, რომელსაც ხელი მოყვა რელსებში და დაუზიანდა.

— აქ ხმები დადის, რომ უოგლად სამღვდელო, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს, განკარგულება მოუხდენია საეპარქიო სასკოლო საბჭო (училищный епархіальный совѣтъ) ფოთიდან გადატანილ იქნას დ. ახალ-სენაკში.

— აქაური ბორტის უფროსის გენერალ სმელსკის მოწერილობის თანახმად, ქალაქის გამგეობას უკვე გამოუწერია წყლის კრანები. ახლო მომავალში ბორტში მუშებისთვის, ისევ გააკეთებენ წყლის სასმელს.

## კორესპონდენციები

### გ უ რ ი ა

**სოფ. ჩოჩხათი.** რამოდენიმე თვის წინეთ ჩოჩხათის საზოგადოებამ შესაფერი განაჩენით შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ იყო, რომ მისცემოდათ ნება ხსენებულ საზოგადოებაში აფთიაქის გახსნისა. ამის შესახებ 19 ივლისს მოხდა საზოგადო ყრილობა. ყრილობას ხალხი ჩვეულებრივზე მეტი დაესწრო დაინტერესებული იმით, რა შედეგი მოყვა ჩვენ შუამდგომლობასო.

გაიხსნა თუ არა ყრილობა, ერთმა ამ აფთიაქის საქმეში არჩეულმა პირმა აუხსნა საზოგადოებას საქმის შინაარსი: ჩვენ რაც შეგვეძლო არავითარი შრომა არ დაგვიკლია, რომ ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილებულიყო, მარა ექვთიმე ორაგველიძემ (სოფ. ჩიბათში საკუთარი აფთიაქი აქვს), რომელიც უწინ ყველა სიკეთეს გვპირდებოდა, ეხლა ყველგან საქმე გაგვიფუჭა, რადგანც თურმე მას სურდა აქ თავის სახელზე აფთიაქის გახსნა, რადგანაც ეს ვეღარ მოახერხა, იმდენი მაინც კი შესძლო, რომ ჩვენც დაგვიკარგა. ამით ისარგებლა ქუთაისელმა ვინმე მეძმარიაშვილმა და აიღო ჩოჩხათის საზოგადოებაში თავის სახელით საკუთარი აფთიაქის გახსნის ნება და თუ ეს ყველა მართალი არ იქნება, მაშინ რაც გვენებოთ ის მიყავითო. ბოლოს, როცა დავინახეთ, რომ ჩვენ, ე, ი. ჩოჩხათის საზოგადოებას ნება აღარა გვაქვს საკუთარი აფთიაქი გავხსნათ, ამისათვის მე და ჩემმა ამხანაგებმა ე. ი. ჩემსავით ამ საქმეში არჩეულებმა, საჭიროთ დავინახეთ მეძმარიაშვილისა და მისი „ახალ-შეძენილი“ ამხანაგ ნესტორ მხეიძისათვის (უკანასკნელი ლანჩხუთის აფთიაქის პატრონია) შემდეგის შინაარსის ხელ-წერილი ჩამოგვერთმია: პირველ წელიწადში—აფთიაქის გახსნისას უნდა გადაიხადოს საზოგადოების სასარგებლოთ ოცი თუმანი და შემდეგ კი, თითოეულ წელიწადში თუთხმეტი თუმანი, უკეთუ აფთიაქს გაყიდიან ან იჯარით ვინმეს გადასცემენ, ამლებიც ამ პირობას უნდა დამორჩილდესო. ექვთიმე ორაგველიძე თავს იმართლებს იმით, რომ ჩოჩხათის საზოგადოება „საქმეს ქვეშში აკეთებს“ და რადგანაც ამნაირი გაკეთებული საქმე თავს ვერ მოდის, ეს ჩემი ბრალი არ არისო. თუ ეს ჩემი სიტყვები არ გჯერათ—ნახეთ თვით ოზურგეთის მაზრის უფროსი წარწერა ამა საქმის მიწერ-მოწერაზე და გაიგებთ, რომ მაზრის უფროსს წაუწერია, ჩოჩხათში კიდევ არსებობს რევოლიუციის ნაშთიო, ათავებს სიტყვას იმით, რომ იგი ამ საქმეში უბრალოა და არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, მას კი უნდოდა თავისი საკუთარი სახელით აქ აფთიაქის გახსნა, მარა ეს ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა! თუ საზოგადოება ეცდება—მეძმარიაშვილს ნებას წაართმევს, იმ შემთხვევაში იჯარით აღებას პირდება. შემდეგ ლაპარაკობს თვით მეძმარიაშვილი: მე აზრათაც არ მქონია არც საზოგადოების და არც ორაგველიძის წინააღმდეგ წავსულიყავი. მხოლოდ თავი და თავი დამნაშავე ამ საქმეში თვით ორაგველიძეა; რადგანაც, თურმე საზოგადოებასაც და მასთან ერთათ მეც მატყუებდა. ის მელაპარაკებოდა: რადგან მე ეხლა არ მიხერხდება ამ საქმის ჩემ სახელზე გაკეთება, ჩოჩხათის საზოგადოება დიდი მადლობელი დარჩება თუ ნებართვას თქვენს სახელზე გამოიტანო. და მე ორაგველიძის სიტყვებით დაიმედებულმა კიდევაც ავიღე შესაფერი ნებართვა. ეხლა კი, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებას არც ორაგველიძე სურს და არც მე, და რადგანაც ასე მწარეთ მოტყუებული დავრჩი, ამისათვის იძულებული ვარ ჩემი პირობის ხელწერილი, რომელიც თქვენთვის უნდა მომეცა დავხიოო და დახია კიდეც. საზოგადოება გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. ის მოელოდა მთავრობისაგან მოსული ნება-რთვის შინაარსის გაგებას და ამის ნაცვლათ კი, თითქმის მუშტიკრივის მოწამე გახდა. ბოლოს, როცა საქმე მიდგა იმაზე, სურდა საზოგადოებას თუ არა მეძმარიაშვილს და კომპ. გაეხსნა აფთიაქი, საზოგადო ყრილობამ თითქმის უპასუხოთ დასტოვა. რისთვის დასტოვა საზოგადოებამ უპასუხოთ? პასუხი ჩემი აზრით მარტივია: საზოგადოების სურვილი იყო და არის თავისი საკუთარი სახელით გახსნას ჩოჩხათის საზოგადოებაში აფთიაქი. თუ ამაზე მთავრობა უარს ეტყვის, მაშინ მოიქცევა ისე, როგორც საჭიროთ დაინახავს, მართალია, აქ მთავრობისაგან ითქვა უარი, მარა ეს უარი რაღაც იმ ფორმაში იყო გატარებული, რომ საზოგადოებას ძალა-უნებურათ მის სინამდვილეში ეჭვი დაებადა და ამ საქმეს უწოდა „ჩახლართულებული“.

ამიტომ იმ დღეს ყოვლად შეუძლებელი იყო სინამდვილის გამორკვევა და მოიქცა ისე, როგორც საჭირო იყო.

**დამსწრე.**

## თეატრი და ხელოვნება

**ს. კავთისხევი.** (ქართლი) 25 ივლ. სცენის მოყვარე მოსწავლეებმა ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ წარმოადგინეს ი. ჭავჭავაძის 3 მოქმედებიანი პიესა „ბატონი და ყმა“. სცენის მოყვარენი სამაგალითო ენერგიით მოეკიდენ საქმეს, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთ კი მეტის-მეტი გულგრილობა გამოიჩინეს და ეს არც გასაკვირველია, რადგანაც ისედაც დაბეჩავებული გლეხკაცობა, ხშირათ პირველ აუცილებელ საჭიროების მოთხოვნილებასაც ვერ იკმაყოფილებს და რადა გასაკვირველია, რომ წარმოდგენაზე დასწრება ვერ მოახერხეს, გასაკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ სოფელს 4—5 სასულიერო სასწავლებლების მოსწავლენი ყავს და აქტიურ მონაწილეობის მიღების მაგიერ თვით წარმოდგენასაც არ დაესწრენ, და ეს იმ დროს, როდესაც სხვა სოფლებიდან მოსულები უფრო იყვნენ. ბილეთების ფასი იყო 10 კ. 1 მანეთამდე.

შესანიშნავი იყო „პეპოს“ როლში ბ-ნი ბარნაბოვი, არა უშავდათ-რა აგრეთვე ბ-ნ კორინთელს და ინდუევს, პირველს „დათიკოს“ როლში, მეორეს „გაბრიელასი“. ქ-ნ კანდელაკის სუსტობა კი როლის უცოდინარობას მიეწერება.

წარმოდგენა დასრულდა თერთმეტის ნახევარ საათზე, შემდეგ გაიმართა ცეკვა და დამსწრენიც ნასიამოვნები დაიშალნენ. მიუხედავათ იმისა, რომ სცენის მოწყობილება და დარბაზი წარმოდგენისათვის მუქთა იყო, ანგარიშის დროს 4 მ. და 45 კ. ზარალი აღმოჩნდა. და ესეც თვით სცენის მოყვარეებმავე შეავსეს. რადა თქმა უნდა, რომ სკოლას აღარაფერი დარჩებოდა.

16 აგვისტოსათვის ამზადებენ წარმოსადგენათ „მეზობლებს“ და ვნახოთ, ის მაინც რას მოგვიტანს!

**დ. ნ. აბდუშელიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**ლ. დადიშკელიანი.**


## განცხადებანი

**ს ა ს ტ უ მ რ ო**

# „ბორჯომი“

**თფილისი, ვოგზლის ქ., № 17.**

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.—3 მან., თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა და ევგენი პერტენავა.** 4—3.

# ა ლ მ ე ზ ა




ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—5

# სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—13

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მატროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—6)

ფ ე რ შ ა ლ ი

**ლ. ბ ა რ კ ა ლ ა ი ა**

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

ი. ახობაძე—ნეკრასოვის ქ. № 14, ვორონცოვის ძეგლის ახლო.

# ავადმყოფებს და სუსტებს

**სპერმატინი** თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლ ნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს ბადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგებს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**თითო შუშის ფასი 2 მან. 40 კაპ.**

**ალმეზა** თუ თქვენ კბილები გტკივათ და საშუალება არა გაქვთ სისტემატიურად სპეციალისტ ექიმთან იწამლოთ, ამ შემთხვევაში საუკეთესო და ნამდვილი საშუალება კბილის ტკივილისაგან განთავისუფლდეთ.— ალმეზას ელექსირია—რომელიც ორ წუთში აყუჩებს კბილის ტკივილს, არჩენს ღრძილების ავადმყოფობას, აჩერებს სისხლს, ამაგრებს ღრძილებს და კბილებს და სამუდამოდ სპობს სუნს.

სანიმუშო შუშა ელექსირისა 40 კაპ., ჩვეულებრივი 1 მან. 20 კაპ.

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!** „კლოპოვინი“ უეცრადა სპობს ბაღლინჯოებს და მთანასახებს. ფასი თითო შუშისა 35 კაპეიკი.

იყიდება ფირმის წარმომადგენელ ი. გ. ახობაძესთან—ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა № 14, ვორონცოვის ძეგლთან. ქალაქ გარედ გაიგზავნება ფას დადებითაც და ღირებულების ერთი მესამედის გაგზავნითაც, აგრეთვე შეიძლება შეძენა თფილისის აფთიაქის მაღაზიებში—ზურაბოვთან, გოლოვინის პროსპექტზე და ვორონცოვის ძეგლთან. ქუთაისში—კოკოჩევის აფთიაქის საქონლის საწყობში; ფოთში—საქალაქო აფთიაქში; ჭიათურაში—ჯანელიძის აფთიაქში; ბაქოში—გოცერიძესთან. (0—1)

# ავათმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

საყურადღებოთ ავათმყოფებისა და სუსტებისა, სპერ. არის საუკეთესო უტყუარი გამკურნავი წამალი და არჩენს შემდეგ სნეულებას.

1. არჩენს სისხლ-ნაკლეულობას და აახლებს მას.
2. ძილის სისუსტეს სიბერეში.
3. დაუძლურებულს ნერვების აშლილობას.
4 მამაკაცობის სიუძლურეს.
5. გადაჭარბებულს დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურს მუშაობის დროს.
6. ონანიზმს, ე. ი. ახალგაზდობის ცუდს ჩვეულებას.
7. წითელ ქარს, სურავანდს, სიდამბლეს.
8. ქრონიკულს მუცლის შეკვრას, ე. ი. ყაბზობას.
9. ქალის ავათმყოფობას.
10. გულის სისუსტეს და გულის ფრიალსა.
11. რევმატიზმას და ხერხემლის ტვინის ტკივილსა.
12. ბუასილს, ბნედას.

ეს საშუალება ყველა ზევით მოხსენებულს ავათმყოფობას არჩენს, როდესაც არის შესრულებული კურსი, და არის მიღებული დარიგებისა და გვარათ და დიეტას ვინც ყურადღებას აქცევს, რომელიც ახლავს ფლაკონებს, და ვისაც არ შეუძლიან დიეტის შესრულება, ვურჩევთ ტყუილა ნუ იხარჯება და იმ შემთხვევაში წამლის ხმარება უქმი არის, კურსი შესდგება 20 წლიდან ზევით 4 ფლაკონი, 7-მდე. ქალისათვის ეს წესი არის საჭირო. ბავშვისთვის ერთი ფლაკონი საკმაო არის 2 წლ. და 2 ფლ. 4 წლ., 3 ფლ. 7 წ., 4 ფ. 20 წლ. გამოწერა შეიძლება ჩემს კანტორიდან და შეგიძლიანთ მოიკითხოთ აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიებში.

წიგნაკები უფასოთ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ., მთავარი ლაბორატორია მოსკოვში, ექიმი ივანოვისა. დარიგება თან ახლავს ფლაკონებს.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისთვის **ი. გ. ახობაძე.**

კანტორა და სკლადი თფილისში, ნეკრასოვის ქუჩა № 14. ვორონცოვის ძეგლთან.

# პროვოდნიკის

## ამხანაგობა რიგაში

1888

1908 წ.

## საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის

**თფილისში** სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდათ და ცალობით**

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

**ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო**

№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“

(25—6.—30).